

დონალდ ი. ჰოკინსი

2007 წლიდან პროფესორი დონალდ ჰოკინსი იკავებდა Solimar International-ის თავმჯდომარის პოსტს, რაც წარმოადგენს ტურიზმის განვითარების საერთაშორისო ფირმას, პროექტებით ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში, აფრიკასა და ლათინო ამერიკაში. ამჟამად, დონალდ ჰოკინსი მუშაობს საუდის არაბეთის ტურიზმის სამინისტროს მდგრადი ტურიზმის გლობალურ ცენტრში.
44 წლიანი სამსახურისა და პენსიაზე გასვლის შემდეგ, იგი დაინიშნა მენეჯმენტისა და ტურიზმის კვლევების პროფესორ ემერიტუსად ბიზნესის სკოლაში და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორ ემერიტუსად The Elliott School of International Affairs-ში, ამერიკის შეერთებული შტატები.

2017 წელს აირჩიეს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (The World Tourism Organization) წევრების საბჭოს პირველ ვიცე-პრეზიდენტად. ხოლო 2006 წლიდან, მსახურობდა ვიცე-თავმჯდომარედ, როგორც ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ოფიციალური წარმომადგენელი.
1988 წელს მან დააარსა ტურიზმის კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი ჯორჯ უაშინგტონის უნივერსიტეტისა (George Washington University) და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ერთობლივი ინიციატივით. 2003 წელს მან მიიღო მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პირველი პრიზი ტურიზმის პოლიტიკასა და სტრატეგიულ მენეჯმენტში, ინდივიდუალური მიღწევებისათვის.

თავისი კარიერის განმავლობაში დონალდი იყო 22 ჟურნალის სტატიის, 15 წიგნისა და 23 წიგნის ქვეთავის ავტორი, თანაავტორი ან რედაქტორი. მისი მეცნიერული და პროფესიული ნაშრომები მოიცავს ინტერესის შემდეგ სფეროებს: (ა) სტრატეგიული დაგეგმვა და პოლიტიკური კურსის შემუშავება; (ბ) სამუშაო ძალის განვითარება, განათლება და ტრენინგი; (გ) ორმხრივი და მრავალმხრივი დონორების განვითარების დახმარება და ინვესტიცია; (დ) პარკებისა და დაცული ტერიტორიის მართვა; (ე) შეხვედრების, კონფერენციისა და ღონისძიების დაგეგმვა; (ვ) სავაჭრო და არასამთავრობო ორგანიზაციების ასოციაციის მართვა; (ზ) რესურსების კონსერვაცია და გარემოსდაცვითი განათლება; თ) მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; (ი) ბიზნესის შერწყმისა და შემენის ხელშეწყობა და (კ) გეოტურიზმი, მათ შორის ადგილებზე დაფუძნებული ტურიზმის სპეციალიზებული ფორმები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებასთან, სოფლის მეურნეობასთან, ჯანმრთელობასთან, კულტურასთან, ხელნაკეთობებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

აქტივობები 2015-2020 წლებში: ვიზიტორთა განვითარების პროექტის დაგეგმვა THR-თან საუდის არაბეთის ტურიზმისა და ეროვნული მემკვიდრეობის კომისიისთვის (SCTH); ჯორჯ უაშინგტონის უნივერსიტეტსა და პრინც მუჰამედ ბინ ფაჰადის უნივერსიტეტს (PMU), საუდის არაბეთი, შორის პოტენციური თანამშრომლობის შეფასება; ტურისტული პოლიტიკა და საინვესტიციო სტრატეგიების შემუშავება ბუტანის ტურიზმის საბჭოსთვის, პერუში სასტუმროს ქონების შეფასება National Geographic Lodges-ისთვის; კაიმანის კუნძულების სტრატეგიული გეგმის შემუშავება; ევროკავშირის მიერ დაფინანსებული იუნესკოსა (UNESCO) და National Geographic Society-სთვის მოგზაურობის დაგეგმვა; იამაიკაში ტურიზმის სამინისტროს ტურიზმის ინოვაციების ცენტრის ბიზნეს საქმის შემუშავება; და კავკასიის უნივერსიტეტისათვის გაწეული ტექნიკური დახმარება UNWTO Academy TedQual სერტიფიცირების პროცესში.